საქმე # 330210124008745469 2/4061-24

განჩინება

საქართველოს სახელით
საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ

14 მაისი, 2024 წელი **თბილისი**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე გოჩა დიდავა

საჩივრის ავტორი - შპს „მოდუსი“;

გასაჩივრებული განჩინება - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 21 თებერვლის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის განცხადების ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შპს „მოდუსის“ საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 21 თებერვლის განჩინებაზე და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2024 წლის 20 თებერვალს სასარჩელო განცხადებით მომართა დავით ნაკაშიძემ მოპასუხე შპს „მოდუსის“ მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე. წარმოდგენილ სარჩელში მოსარჩელემ ასევე იშუამდგომლა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, კერძოდ: წარმოდგენილი სასარჩელო განცხადებით მოსარჩელე ითხოვს ყადაღა დაედოს შპს „მოდუსის“ (ს/ნ 245565669) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებებს: ა - ქალაქი თბილისი,ლევან დევდარიანის მე-3 შესახვევი, N169 (ს/კ 81.08.17.854); ბ - ქ. თბილისი, გზატკეცილი კახეთი, N65-ის მიმდებარედ (ს/კ 01.19.21.003.094); გ - თბილისი, კახეთის გზატკეცილი N65 (ს/კ 01.19.21.003.004); დ - ქ. თბილისი, რაფაელ აგლაძის ქუჩა N51 (ს/კ 01.13.05.003.056); ე - ქალაქი ბათუმი, ალექსანდრე პუშკინის ქუჩა, N13/ფალავანდიშვილის ქუჩა N7-9 (ს/კ 05.28.20.002.01.02.006); ვ - ქ. ბათუმი, ალექსანდრე პუშკინის ქუჩა N13/ფალავანდიშვილის ქუჩა N7-9 (ს/კ 05.28.20.002.01.02.500).

1.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 21 თებერვლის განჩინებით სარჩელის უზრუნველყოფის

განცხადება ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

1.2. 2024 წლის 07 მარტს შპს ,,მოდუსის“ დირექტორის, ოთარ დარჩიძის (დადგენილ ვადაში) მიერ წარმოდგენილი იქნა საჩივარი. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 12 მარტის განჩინებით საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული. 2024 წლის 29 მარტის განჩინებით შპს „მოდუსის“ საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 21.02.2024 წლის განჩინებაზე არ დაკმაყოფილდა და საჩივარი საქმის მასალებთან ერთად სასამართლო განჩინების საფუძველზე გადაეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

1.3. თბილისის სააპელაციო სსამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 25 აპრილის განჩინებით შპს ,,მოდუსის“ საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 29.03.2024 წლის განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის და სააააპელაციო სასამართლოში გადაგზავნის შესახებ, ასევე გაუქმდა იმავე სასამართლოს 21.02.2024 წლის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის განცხადების ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ და საქმე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობის განხილვის ეტაპიდან დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

2. სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ საჩივარს, მიაჩნია, რომ საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2.1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197[1]-ე მუხლის თანახმად სასამართლო საჩივარს წარმოებაში იღებს შესაბამისი ინსტანციის სასამართლოსათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული წესების თანახმად. თუ სასამართლო საჩივარს დასაშვებად და დასაბუთებულად მიიჩნევს, იგი აკმაყოფილებს მას. წინააღმდეგ შემთხვევაში საჩივარი საქმის მასალებთან ერთად სასამართლო განჩინების საფუძველზე გაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს განჩინების მიღებიდან 5 დღის ვადაში.

2.2. განსახილველ შემთხვევაში საყურადღებოა შემდეგი გარმოებები: მოსარჩელე მხარის მოთხოვნას წარმოადგენს: ზიანის ანაზღაურება, რაც უდავოდ საჭიროებს დროებით, დაცვითი ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობას. ამასთან, მოსარჩელეს მითითებული აქვს კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რასაც ემყარება მისი მოთხოვნა. შესაბამისად, თუ მოსარჩელე შეძლებს სარჩელში გადმოცემული ფაქტების დამტკიცებას, სარჩელი შესაძლოა დაკმაყოფილდეს, რის საფუძველზეც სასამართლოს მიერ გამოყენებლი იქნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება. ასევე, სარჩელში მითითებული გარემოებებისა და ფაქტების გათვალისწინებით, მოსარჩელეს მიაჩნდა, რომ მისი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების

დასაცავად და უზრუნველსაყოფად უნდა გამოყენებულიყო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება.

* საჩივრის ავტორი კი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების საფუძვლად მიუთითებს, იმ გარემოებაზე, რომ საკუთრების უფლების შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხარის ინტერესთა შორის სამართლიანი ბალანსისა და პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით. საკუთრების უფლებაში ჩარევა უნდა პასუხობდეს დასახულ მიზანს და იმდენად უნდა იწვევდეს მესაკუთრის უფლებების შეღუდვას, რამდენადაც ეს აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად. რაც წარმოდგენილი განჩინებით ეწინააღმდეგება აღნიშნულ წესებს, ვინაიდან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, რაზეც მხარე აპელირებს და მისი გამომწვევი მიზეზები, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, (ტომი N2 გვ.15) გაქარწყლებულია 2017 წლის 30 მაისის დოკუმენტი N0009671088, საქმის #004050117007 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილებით, რომლითაც დგინდა, რომ (გამოძიების შეწყვეტის საფუძლები) დავით ნაკაშიძემ დაზიანება მიიღო სრულიად შემთხვევით თავისი დაუდევრობით და მის მიმართ რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედებას ადგილი არ ჰქონია, რის საფუძველზეც სისხლის სამართლის საქმეზე დაწყებული გამოძიება შეწყდა, ე.ი. მომხდარი ფაქტი არ წარმოადგენს საწარმო ტრამვას, დამდგარი შედეგი არ არის შპს „მოდუსის“ ბრალით გამოწვეული, ამდენად, არ არსებობს და საქმის მასალებითაც არ დასტურდება მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ თანხების დაკისრების წონაპირობები და ამ ნაწილში განსახილველ სარჩელზე პერსპექტივა აშკარად არ გააჩნია, რაც შესაბამისად 2024 წლის 21 თებერვლის განჩინებით გამოყენებული აკრძალვის საფუძველია.

* საჩივრის ავტორის პოზიცია გამყარებული იყო იმ საფუძვლებით, რომ სასამართლოს მიერ უსაფუძვლოდ იქნა გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისეძიება და არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების ალბათობა.

* 2024 წლის 8 აპრილს კი, მაშინ როდესაც საჩივრის განხილვის მიზნით საქმე იმყოფებოდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში შპს „მოდუსის“ მიერ წარმოდგენილი იქნა მოსაზრება, რასაც თან ერთვოდა შპს „ქონების შემფასებელი ჯგუფის“ მიერ გაცემული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების დადგენის შესახებ შეფასების ანგარიში. წარმოდგენილ მოსაზრებაში საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ უზრუნველყოფის საგნის ღირებულება რამდენჯერმე აღემატება სასარჩელო მოთხოვნის ოდენობას, რაც ეწინააღმდეგება სასამართლო პრაქტიკას და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მთავარ პრინციპს - მხარეთა ინტერესების ბალანსისა და პროპორციულობის დაცვა. ამდენად, მოპასუხის საკუთრებაში არსებული ერთი ერთეული უძრავი ქონებაც (მდებარე ქ. ბათუმი, ალექსანდრე პუშკინის ქ N13/ფალავანდიშვილის ქ. 7-9 შენობის

ბლოკი 2, სართ. პირველი N8 კომერციული ფართი ს/კ 05.28.20.002.01.02.008, შეფასებულია 386 000 ევროდ) საკმარისია სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად. შესაბამისად 2024 წლის 07 მარტს წარმოდგენილი საჩივრის ფარგლებში, აღნიშნული ქონების შეფასების დასკვნის არსებობის შემთხვევაში, სასამართლოს გაუადვილდებოდა ქონების შეფასების არსებობით მხარეთა შორის სამართლიანი ბალანსის დაცვა, ვინაიდან მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით მხარეთა შორის არის განაწილებული და მხოლოდ და მხოლოდ ზეპირ სიტყვიერი განმარტება არ იძლევა მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 25 აპრილის განჩინება საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ დაეფუძნა საჩივარზე დამატებით წარმოდგენილ მოსაზრებას, რომლითაც მოპასუხე მიუთითებს უზრუნველყოფის საგნის საბაზრო ღირებულებასა და სასარჩელო მოთხოვნის ოდენობას შორის აშკარა შეუსაბამობაზე, კერძოდ, დავის საგნის ღირებულება შეადგენს 280 000 ევროს, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შედეგად, შეიქმნა საწარმოს მილიონიანი ღირებულების/ბრუნვის მქონე ობიექტების ნორმალური ფუნქციონირების შემაფერხებელი მოცემულობა, რაც ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლით დადგენილ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მთავარ პრინციპს - დაცული იქნეს სამართლიანი ბალანსი მოსარჩელის დაცული უფლებისა და მოპასუხისათვის დაწესებულებული შეზღუდვას შორის. კერძოდ, პალატამ ყურადღება გაამახვილა საჩივრის ავტორის განმარტებაზე, რომლის მიხედვით, შპს ,,მოდუსის“ საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება არაპროპორციულად უზღუდავს მოპასუხეს კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს, ვინაიდან უზრუნველყოფის ღონისძიება ვრცელდება რამდენიმე უძრავ ქონებაზე, მაშინ როდესაც სარჩელის ფასის გათვალისწინებით, რომელიც შეადგენს 280 000 ევროს, გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად ერთი უძრავი ნივთიც საკმარისია. აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად, საჩივრის ავტორი მიუთითებს შპს ,,ქონების შემფასებელთა ჯგუფის“ მიერ უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების დადგენის შესახებ ჩატარებულ 06.03.2024 წლის შეფასების ანგარიშზე GBR 12/06/03/2024, რომლის მიხედვით, შპს ,,მოდუსის“ საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი მდებარე ქ. ბათუმი, ალექსანდრე პუშკინის ქ. N13/ფალავანდიშვილის ქ. N7-9, შენობის ბლოკი N2, პირველი სართული, კომერციული ფართი N8, ს/კ 05.28.20.002.01.02.008 შეფასებულია 386 000 ევროდ. ამდენად, „მართებულია“ საჩივრის ავტორის პრეტენზია დავით ნაკაშიძის სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული ღონისძიების მოცულობასთან დაკავშირებით მოპასუხის საკუთრებაში არსებული რამდენიმე ერთეული უძრავი ქონების გასხვისებისა და უფლებრივად დატვირთვის აკრძალვის კუთხით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პალატამ მიიჩნია, რომ შპს ,,მოდუსის“ საჩივარი უნდა დაკმაყოფილებულიყო, უნდა გაუქმებულიყო

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 29.03.2024 წლის განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის და სააააპელაციო სასამართლოში გადაგზავნის შესახებ, ასევე გაუქმდეს იმავე სასამართლოს 21.02.2024 წლის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის განცხადების ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ და საქმე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობის განხილვის ეტაპიდან დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

2.3. შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლო იზიარებს თბილისის სააპელაციო პალატის მითითებასა და საქმეში შპს „ქონების შემფასებელი ჯგუფის“ მიერ გაცემული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების დადგენის შესახებ შეფასების ანგარიშს და მიაჩნია, რომ სახეზეა გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების საფუძველი. კერძოდ, სასამართლოს მიაჩნია, რომ მოპასუხე შპს „მოდუსმა“ დასძლია მტკიცების ტვირთი, რომელიც აღმოფხვრილი იქნა 2024 წლის 8 აპრილს წარმოდგენილი მოსაზრების ფარგლებში. მხარემ წარმოდგენილ „მოსაზრებაში“ მიუთითა ისეთ გარემოებებზე, და საქმეს დაურთო ისეთი მტკიცებულება, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის შინაარსის გათვალისწინებით, აქარწყლებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების დასაბუთებულობას ნაწილობრივ, ქონების შეფასების დასკვნიდან გამომდინარე.

2.4. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გარემოებები, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით. ეს განცხადება ასევე უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გამოყენება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. რომელიმე ზემოაღნიშნული გარემოების არსებობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება სასამართლოს ვარაუდს, რომ სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს.

2.5. სასამართლოს მსჯელობა სარჩელის მატერიალურ და საპროცესო წინაპირობებზე გავლენას არ ახდენს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე.

2.6. **სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის წინაპირობას წარმოადგენს საფუძვლიანი ეჭვი იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილება აღუსრულებელი დარჩება ან**

მნიშვნელოვანწილად გაძნელდება აღსრულება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე.

2.7. ნიშანდობლივია, რომ მხოლოდ დარღვეულ უფლებასა, თუ კანონიერ ინტერესზე აპელირება, არ წარმოადგენს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველს. მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი და დასაბუთებული ეჭვი ვალდებულების მომავალში შეუსრულებლობასთან დაკავშირებით სასამართლოში სარჩელის აღძვრის საფუძველია, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინამძღვრები გადაწყვეტილების აღუსრულებლობის, ან მისი აღსრულების გაძნელების დასაბუთებაში უნდა მდგომარეობდეს. სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე წარდგენილი განცხადების დასაბუთებისადმი არსებული მოთხოვნა იმგვარად არ უნდა იქნეს გაგებული, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მომთხოვნი პირი ვალდებულია უტყუარი მტკიცებულებების წარმოდგენით დაამტკიცოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა. აღნიშნული მოთხოვნა არ გამომდინარეობს არც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლიდან და არც სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მარეგულირებელი სხვა ნორმებიდან.

2.8. სასამართლოს დასარწმუნებლად საკმარისია, ალბათობის მაღალი ხარისხით, იმ გარემოებების არსებობის ვარაუდზე მითითება, რომელსაც ემყარება მოსარჩელის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების აუცილებლობის შესახებ. **ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე განცხადება საჭიროებს, კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებით დასაბუთებას, რომელიც დაარწმუნებს სასამართლოს, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროებაში. სასამართლო ასევე განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას დაცული უნდა იყოს სამართლიანი ბალანსი მოსარჩელის უფლებასა (უზრუნველყოს სასამართლო წესით სამომავლოდ დადასტურებული უფლების რეალიზაცია) და მოპასუხის ინტერესს (უზრუნველყოფის ღონისძიებამ გაუმართლებლად არ ხელყოს მისი, როგორც მოპასუხის უფლებები) შორის.**

2.9. გარდა ამისა, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას უზრუნველყოფის ღონისძიების, როგორც საპროცესო სამართლებრივი ინსტიტუტის, მთავარი პრინციპი - აღსრულდეს სასამართლო გადაწყვეტილება. **სარჩელის უზრუნველყოფის არსიდან გამომდინარე, სასამართლო არჩევს უზრუნველყოფის ღონისძიებას სასარჩელო მოთხოვნის ხასიათიდან და მოცულობიდან გამომდინარე. უზრუნველყოფის ღონისძიებით შეზღუდული უფლება უნდა იყოს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობის ადეკვატური. დაუშვებელია,**

უზრუნველყოფის ღონისძიებით მოპასუხის უფლების გაუმართლებელი შეზღუდვა და ამგვარად, მხარეთა არათანაბარ პირობებში ჩაყენება. <u>ამასთან, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება უნდა იყოს განპირობებული იმ ვარაუდით, რომ სარჩელის საფუძვლად მითითებული გარემოებები იურიდიულად ქმნის სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას. ამასთან, უფლების დროებით შეზღუდვის დროს მნიშვნელოვანია გონიერი ბალანსის დაცვა დაცულ სიკეთესა და შეზღუდულ უფლებას შორის.</u>

2.10. მოცემულ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს 280 000 ევროს მოპასუხეზე დაკისრება, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება კი მართალია გამოყენებული იქნა 6 (ექვს) უძრავ ქონებაზე, რომელთა საბაზრო ღირებულებებიც სასამართლოსთვის უცნობი იყო, მაგრამ მას არც სპეციალური ცოდნა გააჩნდა ქონების შეფასების კუთხით, შესაბამისად შუამდგომლობა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდა სრულად. თუმცა 2024 წლის 08 აპრილს წარმოდგენილი ქონების შეფასების დასკვნით აღნიშნული გარემოება იქნა აღმოფხვრილი, რასაც სასამართლო სრულად იზიარებს.

2.11. სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის აღძვრა ავტომატურად სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას არ იწვევს. მოსარჩელემ სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების მიზნებისათვის უნდა ამტკიცოს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, ან მნიშვნელოვანწილად შეაფერხებს მის აღსრულებას. ამასთან, მითითებული მტკიცება შესაბამის მტკიცებულებებზე დაყრდნობით უნდა განხორციელდეს, კერძოდ, მოსარჩელემ, სულ მცირე, სასამართლოს უნდა მისცეს ფაქტები, თუ რატომ არსებობს სამომავლოდ მისაღები გადაწყვეტილების აღუსრულებლობის რისკი. ვალდებულების შეუსრულებლობა თავისთავად კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღუსრულებლობას არ გულისხმობს, ვინაიდან გადაწყვეტილების იძულებით აღსრულების კანონისმიერი მექანიზმებიც არსებობს. შესაბამისად, ასეთ ვითარებაში მოსარჩელემ უნდა მიუთითოს ისეთ ფაქტებზე და შეძლებისდაგვარად წარმოადგინოს მტკიცებულებები, რომელიც ეხება მოპასუხე კომპანიის ფინანსურ სიძნელეს, ქონების არარსებობას, ან არსებული ქონების გასხვისების რისკს და ა. შ.

2.12. განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი ითხოვს გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 21 თებერვლის განჩინება, ვინაიდან გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებით უსაფუძვლოდ იზღუდება მოსარჩელის საკუთრების კანონიერი უფლება, რაც არათანაბარზომიერ ზიანს აყენებს მხარეს, ვინაიდან გამოყენებული არ არის დავის საგნის ღირებულების ტოლფასი უზრუნველყოფის ღონისძიება და ის ემსახურება არა სარჩელის დაცვას არამედ მოპასუხისათვის უსაფუძვლო ზიანის მიყენებას. დაცული

ინტერესი მნიშვნელოვნად ნაკლებია მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებული ქონებისა, რის დასამტკიცებლადაც მხარის მიერ წარმოდგენილი იქნა ქონების შეფასების დასკვნა. შესაბამისად მოპასუხეს მიაჩნია, რომ ვინაიდან უზრუნველყოფის ღონისძიების მიზნით გამოყენებული ქონების ფასი არასამართლებრივია, არაკვალიფიციური, მოთხოვნის ფარგლებშიც კი აღემატება ათასობით ლარით, რაც უძრავ ქონებებზე ფასების ზრდის ტენდეციის პირობებში განუზომელ და უსაფუძვლო ზიანს აყენებს მოპასუხე მხარეს, შესაბამისად უნდა გაუქმდეს განჩინებით გამოყენებული შეზღუდვა, და გამოყნებული იქნეს მხოლოდ და მხოლოდ დავის საგნის ტოლფასი შეზღუდვა. 280 000 ევროს ფარგლებში, რაც N05.28.20.002.01.02.008 უძრავი ქონებით იქნება დაბალანსებული.

2.13. ზ/ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით და იმ გარემოებების მიხედვით, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება არის საპროცესო სამართლის ის ინსტიტუტი, რომელიც სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში ქმნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების რეალურ შესაძლებლობას და ხელს უწყობს მოსარჩელის მოთხოვნის რეალიზაციას, ამ თვალსაზრისით, იგი წარმოადგენს მოსარჩელე მხარის უფლების დაცვის გარანტიას, ვინაიდან ემსახურება დარღვეული ან სადავოდ ქცეული ქონებრივი უფლების აღდგენას, ანუ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით, საბოლოო ჯამში ხდება მოსარჩელის კანონიერი ინტერესების დაცვა იმ რეალობის ან მოსალოდნელი საფრთხის გათვალისწინებით, რომ მოპასუხე, შესაძლოა არაკეთილსინდისიერი გამოდგეს.

2.14. სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ საკითხის განხილვისას ამოსავალია თავად სარჩელის და სასარჩელო მოთხოვნის შინაარსი, რომლის ანალიზის საფუძველზეც ხდება დავის საგნის დაცვის აუცილებლობის განსაზღვრა და შესაბამისად უზრუნველყოფის გამოყენების შესახებ საკითხის შეფასებაც. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისათვის საჭიროა შემდეგი წინაპირობების არსებობა: ა) აღძრული/აღსაძრავი სარჩელი უნდა იყოს იურიდიულად გამართული, ესე იგი - მოსარჩელე (განმცხადებელი) უნდა მიუთითებდეს ისეთ ფაქტებზე, რომელთა დამტკიცების შემთხვევაში, კანონის შესაბამისი მატერიალური ნორმის საფუძველზე, მისი სარჩელი დაკმაყოფილდება; ამასთან, ამ ეტაპზე საკმარისია მხოლოდ მითითება ამგვარ ფაქტებზე და არა მათი დამტკიცება, რაც განხორციელდება საქმის არსებითი განხილვის დროს; ბ) განმცხადებელმა უნდა მიუთითოს იმგვარ გარემოებებზე, რომლის გამოც აუცილებელია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გატარება; გ) გამოსაყენებელი ღონისძიება პირდაპირ უნდა უკავშირდებოდეს და იყოს სასარჩელო დავის საგნის ადეკვატური. აღნიშნული წინაპირობები უნდა არსებობდეს კუმულაციურად.

2.15. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლო მიიჩნევს, რომ საჩივარში ასახული მსჯელობები და გარემოებები აბათილებენ სადავო უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს, რის გამოც სასამართლოს მიაჩნია, რომ შპს „მოდუსის“ „საჩივარი“ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულია მხარეთა თანასწორობის პრინციპზე. **ამ პრინციპის ერთ-ერთი გამოვლინებაა ორი ურთიერთდაპირისპირებული მხარის ინტერესების თანაბრად გათვალისწინება ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულების დროს.** სასამართლო ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება არ შეიძლება იქცეს მხარის დასჯის მექანიზმად და იგი ემსახურება კანონით ზუსტად გათვალისწინებულ შემთხევევებს, შესაბამისად სასამართლოს მიაჩნია, რომ დაუშვებელია უზრუნველყოფის ღონისძიებით მოპასუხის უფლების გაუმართლებელი შეზღუდვა და ამ კუთხით მხარეთა არათანაბარ პირობებში ჩაყენება. ამიტომ, აუცილებელია, დავის საბოლოო გადაწყვეტამდე დაბალანსებული იყოს უფლებრივი კონკურენცია თანაბრად და გამოყენებული იქნას იმგვარი სახის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომელიც მართებულად შეზღუდავს მოპასუხის უფლების ფარგლებს და გავლენას არ მოახდენს მესამე პირების ინტერესებზე. შესაბამისად, მხარეთა თანასწორობის უმნიშვნელოვანესი პრინციპიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ინსტიტუტის შეფასება უნდა მოხდეს როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის პოზიციიდან. ამგვარი შეფასებისას გასათვალისწინებელია, რომ დაცული იყოს თანაზომიერების პრინციპი, კერძოდ, ერთი მხარის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება ამ მოთხოვნის პროპორციული (ადეკვატური) უნდა იყოს და აშკარა შეუსაბამობა არ უნდა იკვეთებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უზრუნველყოფის გამოყენება ვერ გაამართლებს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანს. შესაბამისად საქმის მასალებისა და მხარეთა განმარტებების გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ 2024 წლის 21 თებერვლის განჩინიებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ზედმეტად ხელყოფს პირად ინტერესებს, დავის საგნის მოცულობიდან გამომდინარე. შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ უნდა გაუქმდეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივად დაბალანსების გათვალისწინებით და გასხვისებისა და იპოთეკის აკრძალვა უნდა მოხდეს შპს ,,მოდუსის“ საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთზე მდებარე ქ. ბათუმი, ალექსანდრე პუშკინის ქ. N13/ფალავანდიშვილის ქ. N7-9, შენობის ბლოკი N2, პირველი სართული, კომერციული ფართი N8, ს/კ 05.28.20.002.01.02.008, რომელიც შეფასებულია 386 000 ევროდ.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე, 197[1]-ე, 284-285-ე მუხლებით და

დაადგინა

1. შპს „მოდუსის“ „საჩივარი“ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 21 თებერვლის განჩინებაზე დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 21 თებერვლის (N2/4061-24) განჩინებით გამოყნებული სარჩელის უძრაუნველყოფის ღონისძება, რომლითაც **(2.)** სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, შპს „მოდუსს“ (ს/ნ 245565669) აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონებების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა:

(2.1.) თბილისი, ლევან დევდარიანის მე-3 შესახვევი, N16 (ს/კ 81.08.17.854);

(2.2.) თბილისი, გზატკეცილი კახეთი, N65-ის მიმდებარედ (ს/კ 01.19.21.003.094);

(2.3.) თბილისი, კახეთის გზატკეცილი, N65 (ს/კ 01.19.21.003.004);

(2.4.) თბილისი, რაფაელ აგლაძის ქუჩა, N51 (ს/კ 01.13.05.003.056);

(2.5.) ბათუმი, ალექსანდრე პუშკინის ქუჩა, N13/ფალავანდიშვილის ქუჩა N7-9 (ს/კ 05.28.20.002.01.02.006);

(2.6.) ბათუმი, ალექსანდრე პუშკინის ქუჩა N13/ფალავანდიშვილის ქუჩა N7-9 (ს/კ 05.28.20.002.01.02.500).

3. **<u>სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, შპს „მოდუსს“ (ს/ნ 245565669) აეკრძალოს მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქ. ბათუმი, ალექსანდრე პუშკინის ქ. N13/ფალავანდიშვილის ქ. N7-9, შენობის ბლოკი N2, პირველი სართული, კომერციული ფართი N8, ს/კ 05.28.20.002.01.02.008 გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.</u>**

4. განჩინება გაეგზავნოთ მხარეებს.

5. განჩინებაზე შეიძლება საჩივრის შეტანა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მხარეთათვის ამ განჩინების გადაცემიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში და ამ ვადის გაგრძელება არ შეიძლება.

მოსამართლე **გოჩა დიდავა**